

ავტისტური სპექტრის მქონე ბავშვების არაადეკვატური ქცევის
შესამცირებლად თანატოლთა რესურსის გამოყენება

მარიამ გოჩაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია,
კლინიკური ფსიქოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ გოჩაძე

თარიღი: 27 / 06 / 2016წ.

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა განესაზღვრა შემცირდებოდა თუ არა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების გარემოსთან შეუსაბამო ქცევის გამოვლენა და თამაშში „არ ჩართულობის“ ხანგრძლივობა, მას შემდეგ რაც, ტიპური განვითარების ბავშვები ბუნებრივი სწავლების ერთ-ერთი მოდელის „Pivotal Response Treatment-PRT“ სტრატეგიების გამოყენების გზით შეეცდებოდნენ აუტიზმის მქონე პირი ჩაერთოთ თამაშში.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო აუტისტურის სპექტრის მქონე 3-მა და ტიპური განვითარების 12-მა ბავშვმა. ისინი განაწილდნენ 3 ჯგუფად. თითოეული ჯგუფი შედგებოდა 1 აუტიზმის მქონე პირისგან და 4 თანატოლისგან. კვლევის მეთოდი იყო ექსპერიმენტი და გამოყენებული იქნა დაკვირვებაზე დაფუძნებული გარემოთშორისი დიზაინი (Multiple Baseline across Settings Design). ტიპური განვითარების თანატოლებს ჰქონდათ დავალება აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვისადმი გამოეყენებინათ შემდეგი სტრატეგიები: „ყურადღების მიქცევა“, „თამაშის ახსნა“ და „განმტკიცება“.

ექსპერიმენტული ჩარევის ეტაპზე აუტისტური სპექტრის მქონე მონაწილეებმა შეამცირეს ავერსიული ქმედებების გამოვლენა და თამაშში „განცალკევებულად ყოფნის“ ხანგრძლივობა. გენერალიზების ეტაპზე, ექსპერიმენტულთან შედარებით, გაიზარდა „არაადეკვატური ქმედებების“ გამოვლენა და „განცალკევებულად ყოფნის“ ხანგრძლივობა, მაგრამ ფონურ დაკვირვებასთან შედარებით ცვლადებმა მნიშვნელოვნად შეინარჩუნეს კლება. აღნიშნული შედეგის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ თანატოლების მხრიდან გამოვლენილი სოციალური ინიციატივა და მცდელობა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვები ჩართონ სათამაშო აქტივობაში, არეგულირებს და მნიშვნელოვნად ამცირებს ამ უკანასკნელთა „არაადეკვატურავატური ქცევის“, გამოვლენას და თამაშში „განცალკევებულად ყოფნის“ ხანგრძლივობას.

საკვანძო სიტყვები: აუტისტური სპექტრის დარღვევა; ტიპური განვითარების თანატოლები; არაადეკვატური ქცევა; თამაშში „არ ჩართულობა“; „Pivotal Response Treatment-PRT“ ; ინკლუზიური სწავლება;

მადლობა

მე, როგორც სამაგისტრო ნაშრომის ავტორი მადლობას ვუხდით:

ჩემი თემის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, ქალბატონ ქეთევან მაყაშვილს წერის პროცესში გაწეული, აკადემიური მხარდაჭერისთვის.

თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორს ქალბატონ თამარ კაპანაძეს გამოჩენილი გულისხმიერებისა და თანადგომისთვის.

მონაწილე ბავშვების მასწავლებლებს კვლევის ჩატარების პროცესში ხელშეწყობისთვის.

თბილისის კლასიკური გიმნაზიის ინტეგრირებული კლასის სპეციალისტებს, ჩემს თანამშრომლებს, კოლეგებსა და მეგობრებს: გიორგი მემანიშვილს, მერი ხობუას, მარიამ კასრაძესა და შორენა გვათუას დაკვირვების მონაცემთა შეგროვებაში (სანდოობის განსასაზღვრად) გაწეული დახმარებისთვის და ხელშეწყობისთვის. ასევე, მორალური მხარდაჭერისთვის.

უღრმეს მადლობას ვუხდით კვლევის მონაწილე თითოეულ ბავშვსა და მათ მშობლებს (რომლთა გარეშეც ვერაფერს შევძლებდი) დათმობილი დროისა და გამოჩენილი გულისხმიერებისთვის.

ჩემს ოჯახის წევრებს გამხნევებისთვის, მხარდაჭერისთვის და თვითრწმენის ამაღლებისთვის.